საქმე # 140100117002250893

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განჩინება
საქართველოს სახელით
საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ

№654აპ-18 ქ. თბილისი

ს----------ი ზ------, 654აპ-18 18 აპრილი, 2019 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ბესარიონ ალავიძე, პ----- ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე მსჯავრდებულ ზ------ ს----------ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ქ------- გ-----ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მაისის განაჩენით **ზ------ ს----------ი,** – დ----------ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ზ. ს----------ს განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან – 2017 წლის 20 ნოემბრიდან.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენით დადგენილად მიიჩნია,

რომ ზ------ ს----------მა ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ასევე – ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

- 2017 წლის 30 ოქტომბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, კ---ის რაიონის სოფელ ა----------- მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ზ------ ს----------მა არასრულწლოვანი შვილის – გ------- ს----------ის თანდასწრებით, შელაპარაკების ნიადაგზე მეუღლეს – ნ---- კ---------ს მარცხენა ლოყაში ერთხელ დაარტყა ხელი, რის შედეგადაც ნ---- კ---------მა განიცადა ფიზიკური ტკივილი.
- 2017 წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 09:00 საათზე, კ---ის რაიონის სოფელ ა----------- მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ზ------ ს----------მა შელაპარაკების ნიადაგზე არასრულწლოვან შვილს – გ------- ს----------ს დანით მარჯვენა მკლავში მიაყენა ერთი ჭრილობა, რის შედეგადაც გ------- ს----------მა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მაისის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 სექტემბრის განაჩენით შეიცვალა: ზ------ ს----------ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში; მასვე საქართველოს სსკ-ის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ადვოკატი ქ------- გ------ი ითხოვს ზ------ ს----------ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ ვერ დადგინდა, დაზარალებულმა გ------- ს----------მა რა ვითარებაში მიიღო დაზიანება და მასზე ფიზიკურად იძალადა თუ არა ზ------ ს----------მა, რადგან გ------- ს----------მა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, სხვა პირდაპირი მტკიცებულება კი საქმეში არ არსებობს.

5. გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნათია კიკალია

შესაგებლით ითხოვს ადვოკატ ქ------- გ------ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

6. საკასაციო პალატამ შეისწავლა საკასაციო საჩივარი და დაასკვნა, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვლება, ასეთებია:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;
გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;
დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

7. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არცერთი ზემოაღნიშნული საფუძველი. პალატა აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან მსჯავრდებულ ზ------ ს----------ის ბრალეულობა უტყუარადაა დადასტურებული საქმეზე შეკრებილი, როგორც სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული, ისე – მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა გ------- ს----------მა ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მოწმისათვის გარანტირებული უფლებით და ახლო ნათესავის (მამის) საწინააღმდეგოდ სასამართლოში არ მისცა ჩვენება, ზ------ ს----------ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია მოწმეების – ნ---- კ---------ის, ნ---------- კ---------ის, ლია ხ---------ის ჩვენებებით, პ----- ჯ--------ის, ქ------- ბ----------ს, თ------- ს----------ის, ნ--- ღ----------ის დაკითხვის ოქმებით, გ------- ს----------ის ტანსაცმლის დათვალიერებისა და ამოღების 2017 წლის 20 ნოემბრის ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2017 წლის 24 ნოემბრის №--------- დასკვნით, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის 2017 წლის 29 ნოემბრის №-------- და ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2018 წლის 2 თებერვლის №------ დასკვნებით, ნ---- კ---------ის საცხოვრებელი სახლის დათვალიერების ოქმითა და სხვა მტკიცებულებებით.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 ნაწილებით გათვალისწინებული გარემოებები, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

9. საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3^2, მე-3^3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, საკასაციო პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ზ------ ს----------ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ქ------- გ------ის საკასაციო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე გ. შავლიაშვილი

მოსამართლეები: ბ. ალავიძე

პ. ქათამაძე